

K 17.004
4



ქ ა რ თ უ ღ
ხედნაწერთა აღწერილობა

სინჯის კოლექცია

I



АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

ИНСТИТУТ РУКОПИСЕЙ ИМ. К. С. КЕКЕЛИДZE



ОПИСАНИЕ ГРУЗИНСКИХ РУКОПИСЕЙ

СИНАЙСКАЯ КОЛЛЕКЦИЯ

ЧАСТЬ I

Составили и подготовили к печати:

Л. К. ДЖГАМАЯ, Е. П. МЕТРЕВЕЛИ, Ц. А. ЧАНКИЕВА, Л. М. ХЕВСУРИАНИ

ИЗДАТЕЛЬСТВО «МЕЦНИЕРЕБА»
ТБИЛИСИ

1978

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

ბ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი

ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა

სინური კოლექცია

ნაკვეთი I

შეადგინეს და დასაბუთდად მოამზადეს:

ელ. მებრძველა, ც. ვანაძევა, ლ. ხევსურიაძე, ლ. ჯღაპიაძე



ქართული სკოლა

41
091 (1992)
კ-279

წინამდებარე ნაკვეთში შესულია აღწერილობა სინის მთის ეკატერინეს მონასტრის ქართული კოლექციის 12 იაღგარისა (№ № 1, 14, 18, 20, 26, 34, 40, 41, 49, 59, 64, 65), ჭილ-ეტრატის იაღგარისა, რომელიც პ. უსპენსკიმ წამოიღო საბაწმინდის მონასტრიდან, ამჟამად დაცულია კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში (H-2123) და კ. ტიშენდორფის მიერ სინის მთიდან წამოღებული 50 ფურცლიანი ფრაგმენტისა (დაცულია ლენინგრადის სალტიკოვ-შჩედრინის სახ. საჯარო ბიბლიოთეკაში), რომელიც ხელნაწერს Sii. 34-ის კეთვნილება აღმოჩნდა. ამ სხვადასხვა სიძველისა და ტიპის 13 იაღგარის ქართულად თარგმნა VII—IX სს-ში ივარაუდება, მათი ბერძნული მოდელები დღეისათვის არ ჩანს. ეს ფაქტი კიდევ უფრო ზრდის თავისთავადაც ადრეული უნიკალური ლიტურგიკული ძეგლების მნიშვნელობას.

სინურ ხელნაწერთა აღწერილობის I ნაკვეთი მრავალ ახალსა და საინტერესო ცნობებს შეიცავს ქართული მწერლობის ისტორიის უძველესი პერიოდის (VII—X სს.) შესწავლისათვის.

რედაქტორი ა. მატრაძე

70202
M 607 (06)—78 116—78

© გამოცემის საზღვარს გარეშე, 1978

დ. მარშენი ს. ხ. საბ.
სსრ სსრ კულტურის
რესპუბლიკური
ბიბლიოთეკა

K17004
4

ემდგნება დიდი ქართველი მეცნიერის
აკადემიკოს
კორნელი კეკელიძის
სხონას.

ძველი ქართული მწერლობა და კულტურა ვითარდებოდა ბიზანტიისა და ქრისტიანული აღმოსავლეთის ხალხებთან მჭიდრო კულტურულ ურთიერთობაში, რომელიც ხორციელდებოდა, ძირითადად, საქართველოს გარეთ არსებულ სამწიგნობრო კერებში: პალესტინის დიდ მონასტრებში, სინის მთაზე, საკვირველ მთაზე (სირიამი), ათონზე, კონსტანტინოპოლში, პეტრიწონის მონასტერში და სხვ. ამ ცენტრებში ქართველები აქტიურ მთარგმნელობით და შემოქმედებით მუშაობას ეწეოდნენ. საზღვარგარეთის ქართული მწიგნობრული კერები საქართველოს ადგილობრივ მოთხოვნილებებს ემსახურებოდნენ, ამიტომ ქართული მწერლობისა და კულტურის ისტორია ვერ წარმოიდგინება გარეშე იმ დიდი ლიტერატურული პროდუქციისა, რომელიც იქმნებოდა საქართველოს გარეთ არსებულ სკრიპტორიუმებში. საზღვარგარეთის კერებში შექმნილი პროდუქცია იგზავნებოდა საქართველოში და აქ სწრაფად ვრცელდებოდა, და, პირიქით, საზღვარგარეთის ქართული კერები ყოველთვის იყვნენ კერძში იმისა, თუ რა კეთდებოდა საქართველოში და რა ესაჭიროებოდა მას.

ქრისტიანობა ქართლში პალესტინის გზით ვრცელდებოდა. ამიტომ, ბუნებრივია, რომ ყველაზე ადრე პალესტინაში შეიქმნა საზღვარგარეთის ქართული მწიგნობრული კერები და აქედანვე გავრცელდა საქართველოში იერუსალიმური ტიპის ლიტურგიკული პრაქტიკა. ამიტომაც, რომ უძველესი ქართული ხელნაწერები პალესტინური წარმომავლობისაა, ამიტომაც, რომ ქართული მწერლობის ისტორიის ყველაზე ადრეული პერიოდის შესწავლისათვის მდიდარ მასალას გვაწვდის საბაწმიდასა და სინის მთაზე გადაწერილი ხელნაწერები, რომლებიც სინის მთის წმ. ეკატერინეს მონასტრის ქართულ ხელნაწერთა კოლექციაშია თავმოყრილი. ამავე დროს ეს ხელნაწერები ფასდაუდებელი მასალაა V—X საუკუნეებში ახლოაღმოსავლეთსა და საკუთრივ პალესტინაში შექმნილი და გავრცელებული ლიტერატურული პროდუქციის შესასწავლად.

იმის გამო, რომ IX—X საუკუნეებიდან იერუსალიმური წესი ლიტურგიკული პრაქტიკისა პალესტინაში განიდევნა ხმარებიდან, მათი ბერძნული თარგმანებში თითქმის მთლიანად დაიკარგა. ამ გარემოებამ დიდად გაზარდა მათი ქართული თარგმანების მეცნიერული ღირებულება.

ქართული ხელნაწერების სინური კოლექციის მნიშვნელობას ე. გარიტი შემდეგნაირად აფასებს: „ქართული ხელნაწერების სინურმა კოლექციამ შეუძლებინა ქართული მწერლობის უძველესი ტრადიციები, რომლებსაც ქართული მწერლობის სათავეებთან მივყავართ. ხელნაწერებში წარმოდგენილი თითქმის ყველა ტექსტი უშუალოდ თუ შუამავალი თარგმანების საშუალებით ბერძნულიდან მომდინარეობს. მრავალი მათგანი მხოლოდ სინურმა კოლექ-

ციამ შემოგვინახა. ნაწილი კი მეტად მცირე რაოდენობითაა წარმოდგენილი ხელნაწერთა სხვა კოლექციებში. ეს თავისებურება განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ამ კოლექციას არა მარტო ქართული მწერლობის ისტორიის, არამედ საერთოდ ბიბლიის კრიტიკული ტექსტოლოგიის, ბერძნული პატრისტიკის და ბიზანტიური ფილოლოგიის თვალსაზრისითაც... ამ ტექსტების მნიშვნელობა შორს სცილდება ქართული ფილოლოგიის საზღვრებს¹.

V—X საუკუნეების ქართული მწერლობის შესწავლისათვის და მისი კულტურული ორიენტაციის წარმოსადგენად ქართული ხელნაწერების სინური კოლექცია მართლაც დიდებულ მასალას გვაწვდის. ქართლში ამ დროს ვითარდება მდიდარი და მეტად თავისთავადი ორიგინალური აგიოგრაფიული და ისტორიული მწერლობა. იწერება ისეთი შედეგები, როგორცაა: შუშანიკის, ევსტათი მცხეთელის, აბო თბილელის მარტვილობები, გრიგოლ ხანცთელის, სერაპიონ ზარზმელის, ნინო განმანათლებელის ცხოვრებები. თითოეული ეს თხზულება თავის დროის შესანიშნავი ისტორიული მატანეა, დაწერილი ქართული აგიოგრაფიისათვის დამახასიათებელი რეალისტური პრინციპით, ისტორიის მოთხოვნილებათა შესანიშნავი ცოდნითა და გათვალისწინებით. მაგრამ დროის მაჯისცემის, სარწმუნოებრივი ბრძოლებისა და პოლიტიკური და კულტურული ორიენტაციის სრული წარმოდგენისათვის არანაკლებ მნიშვნელოვანია ამ პერიოდის თარგმნითი ლიტერატურა, რომელიც ასე უხვად არის წარმოდგენილი როგორც სინურ, ასევე საქართველოსა და საზღვარგარეთის სხვა მწიგნობრული კერების ხელნაწერთა კოლექციებში.

ქართულ ხელნაწერთა სინური კოლექცია თავისი სიძველისა და მნიშვნელობის გამო ყოველთვის იმსახურებდა მეცნიერთა განსაკუთრებულ ყურადღებას². დაწყებული XIX საუკუნის შუა წლებიდან სულ ბოლო დრომდე მეცნიერი-მოგზაურები და სხვადასხვა ჯურის სიძველეთა მოყვარულნი არ თავსებდნენ სინის მთის მონასტრიდან ხელნაწერთა ფრაგმენტებისა თუ მთლიანი ხელნაწერების წამოღებას. 1850 წელს პ. უსპენსკიმ სინის მთის კოზმა და დამიანეს მონასტრიდან სხვა ფრაგმენტებთან ერთად წამოიღო X საუკუნის ჭილის ფსალმუნის ორი ფურცელი, რომელიც ამჟამად ლენინგრადის სალტიკოვ-შჩედრინის საჯარო ბიბლიოთეკაშია დაცული. მანვე ჩამოიტანა საბას მონასტრიდან ცნობილი „ჰილ-ეტრატის იადგარი“, რომელიც ამჟამად კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტშია დაცული (H—2123). კ. ტიშენდორფმა 1853 წელს თავისი მეორე მოგზაურობის დროს სინის მთის ეკატერინეს მონასტრიდან წამოიღო ქართული ხელნაწერების პალიმფსესტური ფურცლები, რომლებიც ამჟამად დაცულია ლაიპციგის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში და აღწერილია ი. ასფალგის მიერ³. მოგზაურობის დროსვე კ. ტიშენდორფმა იმავე წმ. ეკატერინეს მონასტრიდან წამოიღო 179 პალიმფსესტუ-

¹ Catalogue des manuscrits géorgiens littéraires du mont Sinaï par Gérard Garitte. CSCO. v. 165. Subsidia t. 9. Louvain, 1965, p. 1.

² სინის მთის ქართული ხელნაწერების შესწავლისა და აღწერის ისტორიისათვის იხ. ვ. გარტის ზემოთ დასახელებული კატალოგის წინასიტყვაობა, გვ. 1—13.

³ Georgischen Handschriften, beschrieben von Julius Assfalg. Wiesbaden, 1963.

რი ფურცელი, რომელთაგან 50 ფურცელი Sin. 34-ის კუთვნილებაა⁴. ეს პალიმფესტები დაცულია ლენინგრადის სალტიკოვ-შჩედრინის საჯარო ბიბლიოთეკაში.

1895 წლის ახლო ხანებში ჰუგო შუხარდტმა ვენაში შეიძინა სინური ხელნაწერების შვიდი ფრაგმენტი და გადასცა გრაცის უნივერსიტეტს. ხელნაწერები შეისწავლა და მათი აღწერილობა გამოაქვეყნა ა. შანიძემ⁵. სინური ხელნაწერების ფრაგმენტები აღმოჩნდა მინგანის კოლექციაში (ბირმინგემში); ერთ-ერთი ფურცელი ამ კოლექციიდან ხანმეტი ლექციონარის ანდერძი გამოდგა⁶. 1972 წელს ხანმეტი ლექციონარის დაკარგულად მიჩნეულ კიდევ ერთ ფურცელს მიაკვლია ბ. უტიემ პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ახალ შემოსულობათა შორის⁷.

სინური ხელნაწერი № 81 (ცაგარლის კატალოგით), რომელიც 1954 წლიდან მ. ფიშერის კერძო კოლექციის კუთვნილება იყო⁸ (დეტროიტი). ამ სამიოდე წლის წინ ნიუ-იორკის ანტიკვარულ მაღაზიაში იყიდებოდა. ხელნაწერის ისტორია შესწავლილი აქვს პროფ. ი. ასფალგს.

ბოლო წლებში გამოვლინდა აგრეთვე დაკარგულად მიჩნეული სინის მთის № 92—93 (ცაგარლის ნუმერაციით) ხელნაწერი, რომელიც დაცულია პრინსტონის უნივერსიტეტში რობერტ გარეტის კოლექციაში (№ 24). ამ ხელნაწერის საინტერესო თავგადასავალი და აღწერილობა გამოაქვეყნა ჟ. გარიტმა⁹.

პირველი მეცნიერი, რომელმაც შეისწავლა სინის მთის ეკატერინეს მონასტრის ქართულ ხელნაწერთა მთელი კოლექცია და გამოაქვეყნა ამ კოლექციის პირველი აღწერილობა, იყო ა. ცაგარელი¹⁰. ა. ცაგარლის შრომა, მიუხედავად მრავალი უზუსტობისა და შეცდომებისა, პირველი ცდა იყო ქართული ხელნაწერების ამ შესანიშნავი კოლექციის არამართო აღწერისა, არამედ მისი მეცნიერული შეფასებისა და ამავე დროს, ხელნაწერი მასალის უხვი გამოყენებით, სინის მთის ქართული სკრიპტორიუმების ისტორიის დაწერისა.

1902 წელს შედგა ნ. მარისა და ივ. ჯავახიშვილის ცნობილი ექსპედიცია სინის მთასა და იერუსალიმში. მიუხედავად რთული პირობებისა და დროის სიმცირობისა, ამ ორმა მეცნიერმა არა მარტო აღწერეს ხელნაწერები, არამედ გადმოიწერეს კიდევ უმნიშვნელოვანესი ტექსტები ქართულ, სირიულ, არაბულ და სომხურ ენებზე და გადაიღეს ფოტოები.

⁴ Хевсуриани Л., Ленинградские фрагменты грузинских сирийских рукописей, Конференция по истории средневековой письменности и книги. Тезисы докладов, 25—27 октября 1977 г. Ереван, стр. 105.

⁵ ა. შანიძე, ქართული ხელნაწერები გრაცში. ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, ტ. 9, 1929, გვ. 310—353.

⁶ G. Garitte, Les feuillets géorgiens de la collection Mingana à Selly Oak: Le Muséon 73 (1960).

⁷ B. Outtier, Un feuillet de Lectionnaire géorgien Hammeti à Paris. Le Muséon, LXXXV, 3—4, p. 393—402.

⁸ ჟ. გარიტის დასახელებული კატალოგი, გვ. 8.

⁹ G. Garitte, Aventure et mésaventures d'un manuscrit géorgien (le cod. Garett 24, Princeton): Bedi Kartlisa, v. XXIII—XXIV, 1967, p. 37.

¹⁰ А. Цагарели, Памятники грузинской старины в Святой земле и на Синае. II. П. С. IV, С. П-бург, 1888.

1903 წელს გამოქვეყნებულ ექსპედიციის „წინასწარ ანგარიშში“ ნ. მარმა შესანიშნავად წარმოაჩინა სინისა და იერუსალიმის ქართულ ხელნაწერთა მნიშვნელობა არა მარტო ქართველოლოგიის მრავალი დარგისათვის, არამედ ბიზანტიისა და ქრისტიანული აღმოსავლეთის ხალხების მწერლობის შესწავლისთვისაც¹¹.

1940 და 1947 წლებში გამოქვეყნდა ნ. მარისა და ივ. ჯავახიშვილის მიერ შედგენილი სინის მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობები¹², რომლებშიც მკაფიოდ გამოჩნდა თითოეული მთავანის სამეცნიერო ინტერესები. ნ. მარისა და ივ. ჯავახიშვილის „აღწერილობათა“ გამოქვეყნებამ კიდევ უფრო მკვეთრად დასვა საკითხი ხელნაწერების ამ იშვიათი კოლექციის საგანგებო შესწავლისა და მთელი რიგი უნიკალური ხელნაწერების გამოცემისა.

1950 წელს ვაშინგტონის კონგრესის ბიბლიოთეკამ მოაწყო ექსპედიცია სინის მთაზე და იერუსალიმში მრავალენოვან ხელნაწერთა კოლექციების გადასაღებად. აღმოსავლური ფონდების შესწავლისა და გადასაღები მასალის შერჩევისათვის ექსპედიციაში მონაწილეობის მისაღებად მიწვეულ იქნა ცნობილი ორიენტალისტი პროფ. ე. გარიტი. მან ადგილზე შეისწავლა სინის მთის ქართულ ხელნაწერთა კოლექცია, შეადგინა მათი აღწერილობა და მთლიანად გადააღებინა 84 ხელნაწერი, რომლებიც მას მონასტერში დახვდა¹³.

1956 წელს ე. გარიტმა გამოაქვეყნა სინის მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, სადაც შევიდა ბიბლიური, პატრისტიკული, აგიოგრაფიული და ასკეტიკური ხასიათის ხელნაწერები, სულ 38 ერთეული, რომლებიც 34 ხელნაწერს შეადგენენ. ესენია № № 6, 8, 11, 15, 16, 19, 22, 25, 29, 30, 32 (57—33), 25, 36, 38, 39, 42, 43, 44, 46, 50, 51, 52, 58 (31—60), 62, 68, 71, 78, 79, 80, 81, 85, 86, 91, 97. ეს შესანიშნავი შრომა, ვრცელი სამეცნიერო აპარატი. მნიშვნელოვანი მეცნიერული დაკვირვებებითა და ლათინურად თარგმნილი ტექსტებით ხელნაწერთა მეცნიერული აღწერილობის მისაბამ ნიმუშად უნდა იქნეს მიჩნეული.

1956 წელს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფუნდამენტალურმა ბიბლიოთეკამ ვაშინგტონის კონგრესის ბიბლიოთეკიდან შეიძინა სინის მთისა და იერუსალიმის ბერძენთა საპატრიარქო ბიბლიოთეკის ქართულ ხელნაწერთა კოლექციების მიკროფირები. ამ დროიდან ქართველ მეცნიერებს მიეცათ საშუალება ამ მეტად მნიშვნელოვანი ხელნაწერების შესწავლისა. არაერთი მნიშვნელოვანი ტექსტი გამოსცეს ქართველმა მეცნიერებმა სინური და იერუსალიმური ხელნაწერების მიხედვით. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის სამეცნიერო თემატიკაში სინური ხელნაწერების შესწავლამ და აღწერამ საბატიო ადგილი დაიკავეს. მომზადდა აღწერილობა სინური კოლექციის 50 ლიტურგიკული ხელნაწერისა, ე. ი. იმ ნაწილისა, რომელიც

¹¹ Н. Марр, Предварительный отчет о работах на Синае, веденных в сотрудничестве с И. А. Джавахишвили и в Иерусалиме в поездке 1902 г. (апрель—ноябрь): Сообщения Императорского Православного Палестинского Общества. XIV, ч. II, стр. 1—51.

¹² Н. Я. Марр. Описание грузинских рукописей синайского монастыря. М.—Л. 1940; ივ. ჯავახიშვილი, სინის მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, თბ., 1947.

¹³ G. Garitte, დასახვებელი კატალოგი, გვ. 6.

აღწერილი დარჩა უ. გარიტს. ამ ნაწილში თავი მოიყარეს უძველესმა ლექციონარებმა, იადგარებმა, თვენებმა, ჰარაკლიტონებმა, კურთხევაანებმა და სხვა მრავალმა. ტექნიკური მიზეზების გამო ვერ მოხერხდა ამ ხელნაწერთა აღწერილობის ერთ წიგნად გამოქვეყნება. აღწერილობის პირველ ნაკვეთში შევიდა სინური კოლექციის მხოლოდ იადგარები (სულ 12 ერთეული). იადგარების ამ კოლექციამ შემოგვინახა ადრებიზანტიური ხანის (ე. წ. იერუსალიმური პერიოდის) V—X საუკუნეების მდიდარი ჰიმნოგრაფიული ლიტერატურა, რომელიც X საუკუნიდან პრაქტიკიდან უკვე ამოღებული იყო და ამიტომ უკვალოდ დაიკარგა ბიზანტიური მწერლობისა და კულტურისათვის. ეს გარემოება განსაკუთრებით ზრდის ბერძნულიდან ადრევე თარგმნილი ქართული იადგარების მნიშვნელობას ბიზანტიური მწერლობისა და სასულიერო პოეზიის ისტორიისათვის. ამავე დროს განვითარების ის გრძელი გზა, რომელიც გავლეს ქართულმა იადგარებმა V—X საუკუნეების მანძილზე, როგორც ორიგინალურ შემოქმედებაში, ასევე თარგმანებშიც, გვიჩვენებს ამ ძეგლთა შემქმნელების ძალიან მაღალ სამწერლობო და პოეტურ კულტურას და დიდ შემოქმედებით პოტენციალს. ერთად წარმოდგენილი სინური კოლექციის ყველა იადგარის აღწერილობა სპეციალისტებს გაუადვილებს ადრეული პოეზიის ამ ნაკლებად შესწავლილი კრებულების გაღრმავებულ კვლევას.

როგორც აღინიშნა, აღწერილობის პირველ ნაკვეთში შესულია სინის მთის ეკატერინეს მონასტრის ქართული კოლექციის 12 იადგარის აღწერილობა. ესენია: № № 1, 14, 18, 20, 26, 34, 40, 41, 49, 59, 64, 65. გარდა ამისა, მიზანშეწონილად მივიჩინეთ ამავე ნაკვეთში შეგვეტანა სამეცნიერო ლიტერატურაში კარგად ცნობილი X საუკუნის ჰილ-ეტრატის იადგარი, რომელიც პ. უსპენსკიმ წამოიღო საბაწმინდის მონასტრიდან და დღეს იგი კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში ინახება (H 2123). ასევე მიზანშეწონილად ვცანით Sin. 34 ხელნაწერთან ერთად მოგვეტანა აღწერილობა კ. ტიშენდორფის მიერ სინის მთიდან წამოღებული 51 ფურცლიანი ფრაგმენტისა (დაცულია ლენინგრადის სალტიკოვ-შჩედრინის საჯარო ბიბლიოთეკაში: Сир. II. с. 16/1, 16/2, 16/3, Греч. VI, VII, XLI), რომელიც, როგორც ეს შესწავლამ გამოარკვია, Sin. 34-ის კუთვნილი ნაწილია¹⁴. ამავე აღწერილობას შეუერთდა Sin. 34-ის კიდევ 4 ფურცელი, რომელიც ლაიპციგის ქართულ ხელნაწერთა ტიშენდორფისეულ კოლექციაში აღმოჩნდა¹⁵.

ამრიგად, წინამდებარე ნაკვეთში წარმოდგენილია სხვადასხვა სიძველისა და ტიპის 13 იადგარის აღწერილობა, რომელთა ბერძნული მოდელები დღესდღეობით არ ჩანს. მასალის ხასიათისა და კალენდრების მიხედვით ეს იადგარები ასე ჭგუფდება:

1. უძველესი იადგარი, გავრცელებული პალესტინაში IX საუკუნის ბოლომდე, დაწერილი პროზით, კალენდრით ემთხვევა უძველეს ქართულ იერუსალიმურ ლექციონარს და წარმოადგენს მის ჰიმნოგრაფიულ დანამატს; თარ-

¹⁴ Л. Хевсуриани, დასახ. თეზისები, გვ. 5.

¹⁵ J. Assfalg-ის დასახელებული კატალოგი, გვ. 43, Cod. Ms. v, 1096, UB, Leipzig.

გმნილია ქართულად ამ იადგარის თავდაპირველი პლასტი არაუგვიანეს VI საუკუნის მეორე ნახევრისა. ამ ჯგუფის ხელნაწერებია: № № 18, 40, 41 და ჭილვრატის იადგარი (H—2123). აქვე შევნიშნავთ, რომ უძველესი იადგარის ნუსხები, მათი გვიანდლობის გამო, რიგ შემთხვევაში შეიცავენ ახალი რედაქციის იადგარების მასალასაც (იხ. Sin. 18: I,34; I,37; I,44; I,45).

2. იოანე დამასკელის მიერ ჰიმნოგრაფიაში ჩატარებული რეფორმის შემდეგდროინდელი ახალი ტიპის იადგარი. განსხვავდება უძველესი იადგარისაგან კალენდრით; საგალობლები დაწერილია ახალი საზომით, ბიზანტიური ლექსით (რიტმული პროზით), ძლისპირთა საზომებზე. ტექსტებს ახლავთ რიტმული პუნქტუაცია. შეიქმნა ამ იადგარების ბერძნული მოდელი VII—VIII საუკუნეებში საბაწმიდის სახელოვან ჰიმნოდთა წრეში. ქართულად უნდა თარგმნილიყო IX საუკუნეში. იადგარის ამ რედაქციამ განვითარების რთული გზა განვლო. იადგარის ახალი ტიპის ყველაზე ადრეული ხელნაწერები, ახალი მასალის გვერდით, უძველესი იადგარის მასალასაც შეიცავენ საგანგებო მითითებებით „ძულენი“. ამ ტიპის იადგარებია: № № 20, 26, 34; ძველი მასალისაგან უკვე თავისუფალია ახალი ტიპის იადგარის ხელნაწერები № № 1 და 14, სადაც რიტმულ დაყოფასთან ერთად ტექსტებს ახლავთ უკვე ნევმებიც.

ახალი ტიპის იადგარის შემდგომმა განვითარებამ მოგვცა იადგარის ვრცელი ვარიანტი, რომელიც აღწერილობაში წარმოდგენილია შემდეგი ხელნაწერებით: № № 49, 59, 64, 65.

ვინაიდან წინამდებარე I ნაკვეთში მხოლოდ იადგართა აღწერილობებია შესული, რომელთა ტიპოლოგიური დაჯგუფება შესაძლებელი აღმოჩნდა, ამიტომ ადგილის ეკონომიისა და გამეორებათა თავიდან აცილების მიზნით, აღწერილობებში ერთი ტიპის ხელნაწერების ერთნაირ მასალას არ ვიმეორებთ, მიუხედავად მხოლოდ რიგით უფრო ადრეული ხელნაწერის სრული აღწერილობის ანალოგიურ ადგილებზე.

აღწერის პროცესში სინური კოლექციის ქართული ხელნაწერების შესწავლამ შესაძლებლობა მოგვცა ერთმანეთისაგან გამიჯნულიყო საბაწმიდისა და სინის სკრიპტორიუმების გადამწერ-კალიგრაფები, პოეტები და მთარგმნელები და მათი პრობლემა. მიღებული დაკვირვებები და შედეგები ხელს შეუწყობენ ამ უძველესი ქართული სკრიპტორიუმების ისტორიის შესწავლას.

სინური ხელნაწერების აღმწერთა კოლექტივი ვარაუდობს, რომ სინურ ხელნაწერთა აღწერილობის წინამდებარე და მომდევნო ნაკვეთები გარკვეულ სამსახურს გაუწევენ ქართულსა და ბიზანტიურ ჰიმნოგრაფიაში მომუშავე მკვლევრებს. ამასთანავე, აღმწერლები წინასწარ იხდიან ბოდიშს შეცდომებისათვის, რომელთაგანაც ნაშრომი ვერ იქნება დაზღვეული თუნდაც იმიტომ, რომ აღმწერლებს მუშაობა უხდებოდათ არა დედნებზე, არამედ მათ როტოპირებზე, სადაც ზოგჯერ ტექსტები არ იკითხება, ან ძნელად იკითხება.

სინურ ხელნაწერთა აღწერილობის პირველ ნაკვეთზე მუშაობდნენ: ელ. მეტრეველი (აღწერა 1, 14 ნომრები), ც. ჭანკიევი (აღწერა 20, 26, 34, 41, 59, 64, 65), ლ. ხევსურიაძე (აღწერა 18, 40, 34 (დამატება), H—2123), ლ. ჭამბაძე (აღწერა 49). საძიებლები შეადგინა ც. ჭანკიევიმ.

აღწერილობის ავტორები ამ წიგნს მაღლიერების დიდი გრძნობით უძღ-
 ვნიან დიდი ქართველი მეცნიერის კორნელი კეკელიძის
 ხსოვნას, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა უძველესი ქართული მწერლობის
 შესწავლას, ამასთანავე, პირველმა შეადგინა ქართული ლიტურგიული ხელ-
 ნაწერების აღწერილობა და მათ დიდ მეცნიერულ ღირებულებას საერთაშო-
 რისო აღიარება მოუპოვა.

ე მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი

შ ე მ ი კ ლ ე ჯ ა ნ ი

1. ა. ც ა გ ა რ ე ლ ი, კატალოგი — А. Цагарели, Сведения о памятниках грузинской письменности, II, СПб., 1889.
2. მ. თ ა რ ხ ნ ი შ ვ ი ლ ი, ლექციონარი — Le Grand Lectionaire de l'église de Jérusalem (V^e—VIII^e siècle), édité par M. Tarnischvili, I, II, Louvain, 1959—1960.
3. ნ. შ ა რ ი, აღწერილობა — Н. Я. Марр, Описание грузинских рукописей синайского монастыря, М.—Л., 1940.
4. ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, აღწერილობა — ივ. ჯავახიშვილი, სინის მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, თბილისი, 1947.
5. ე. შ ე ტ რ ე ვ ე ლ ი, ძლისპირნი — ორი ძველი რედაქცია X—XI სს. ხელნაწერების მიხედვით. გამოსცა და გამოკვლევა დაურთო ელენე შეტრეველმა, თბილისი, 1971.

იადგარი. X ს. I ნახევარი

384 ფ.; ეტრატი; 31×24; ნუსხური, დღესასწაულების სახელწოდებები და დასაწყისები მთავრულით, მთავრულითა და სინგურითა დაწერილი ძლისპირთა ბერძნული მოდელების დასაწყისები (ვადმოცემული ქართული ტრანსკრიპციით); ძლისპირები და გალობათა დიდი ნაწილი ნეემირებული სინგურით. უადგილოდ არის ჩაიქმული 4,9 და 10 ფფ. ხილო ფფ. 11—22 შეცდომით არის მოხედრილი ამ ხელნაწერში და წარმოადგენს Sin. 59-ის კუთვნილებას (იხ. აღწერილობა). ხელნაწერს აქვს რვეულებრივი აღრიცხვა: კა რვეულამდე ქართულ-ბერძნული, შემდეგ მხოლოდ ქართული, პირველ რვეულს აკლია 5 ფურცელი. მომდევნო ორი რვეული არეულია. თანმომდევრული აღრიცხვა იწყება დ რვეულიდან და გრძელდება ზე რვეულამდე. აკლია მთლიანად კდ (167r-დან) რვეული; [X საუკუნის პირველი ნახევარი]; ხელნაწერის მომგებელი: ტიმოთე (123v, 291v); გადამწერი: იოვანი (123v, 291v).

I. [ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი. კა ა ...ადიდებდითსა... ღმრთისმშობლისა] „...შემდგომად შობისა ქალწულად დაადგერ და აღმოგუცენე რქამ ცხორებისა, ქრისტე. ღმრთისმშობელი მარიამ, გალობით გადიდებთ.

ნენიკინთე. — ძლეულ იქმნეს ბუნებანი, მეტყუელნი შენთვს, ქალწულო უსძლოო...“ 1r.

შენიშვნა: „ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანის“ ტექსტი თავნაკულია. 1r-ზე ტექსტი იწყება I ხმის „ადიდებდითსას“ „ღმრთისმშობლისათი“. ამას მოსდევს ამავე გალობის სამი ძლისპირი და ღმრთისმშობლისა (იხ. ე. მეტრეველი, ძლისპირნი, გვ. 58, № № 55—57.

„ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი. უგლბდთსა კა ბ. ბითვია. — განაპო სიღრმე ზღლსა ბრძანებითა...“ 1r—30v.

შენიშვნები: 1. რვა ხმაზე დაწერილი „ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი“ ხელნაწერში ნაკულია. შეიცავს შემდეგ მასალას:

კა ა, ადიდებდითსა (1r).

კა ბ, უგალობდითსა — აკურთხევედითსა (ბოლო აკლია) (1r—3v, 5r).

„ ბ, უგალობდითსა — ადიდებდითსა (5r—7v).

„ დ, უგალობდითსა — განძლიერდასა (8r—v).

ა გი, აკლია მთლიანად.

ბ გი, აკლია მთლიანად.

გ გი, განძლიერდასა — ადიდებდითსა (23r—25r).

დ გი, უგალობდითსა — ადიდებდითსა (25r—30v).

2. Sin. 1-ის „ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანის“ ტექსტი ძველი რედაქციისა და გამოქვეყნებულია (ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანის ზემოთ დასახელებულ გამოცემაში Sin. 1 H ლიტერით არის შესული).

3. ყოველ ძლისპირს უძღვის ბერძნული მოდელის დასაწყისი ქართული ტრანსკრიპციით.

4. „ძლისპირნის“ ტექსტებში უადგილოდ არის ჩაიქმული ფფ. 4, 9, 10 (აქედან 9—10 ფფ. „ღმრთისმშობლის შესხმას“ წარმოადგენს; მე-4 ფ. — მაცხოვრის სახელზე დაწერილი გალობანის „ადიდებდითსას“ და „აქებდითსას“. ამ ფურცლის ადგილი ხელნაწერში ვერ დავადგინეთ. ფფ. 11—22 შეცდომით არის მოხედრილი Sin. 1-ში. ეს ფურცლები Sin. 59-ის კუთვნილებაა (იხ. Sin. 59-ის აღწერილობა: 101, შენ. 1).

II. „შესხმანი წმიდანი ღმრთისმშობელისანი, ფ არ ა ფ თ ო ნ ი, დაწესებული ოხთანნი და მოსართავნი, თქუმულნი წმიდისა კ ო ზ მ ა ნ ი ს ნ ი, და

სხუა ღმრთისმშობლისა, რომელ იადგარსა შინა სწერია, თავ-თავი გინა ერ-
 ცახე, ყოველივე შეკრებულად აქა დამიწერია, რომელ მკითხველსა ძებნად არა
 უნდეს, აქა ადვილად პიოს და ლოცვა-ყოს. **ჯა ა. პართენიკა პანიღურე.** —
 ქალწულთა კრებულისათჳს დღეს, ერნო...“ 9r—10v.

- შენიშვნები:** 1. „შესხმანის“ მხოლოდ ა, ბ, გ ხმების მასალაა წარმოდგენილი.
 2. „შესხმანის“ ზოგ ტროპართან ბერძნული ძლისპირის დასაწყისია მოტანი-
 ლი ქართული ტრანსკრიპციით.
 3. შესხმანის ზოგი ტროპარი ნევემირებულა (იხ. 9v).

III.1. (Sin.59) [ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი, **ჯა დ გი**, ღამით-
 განსა... ღმრთისმშობლისა]. „...მეოხ გუეყავ ძისა შენისა, ღმრთისმშობელი,
 რაათა გარდამოვკვლინოს სიმრავლჳ მოწყალეებათაჲ, ვითარცა გაქუს კადნიე-
 რებაჲ...“ 11r—12v.

შენიშვნა: Sin. 59-ის „ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანის“ ამ ფრაგმენტშიც
 ძლისპირებს რიგ შემთხვევაში უძღვით ბერძნული მოდელის დასაწყისები, გად-
 მოცემული ქართული ტრანსკრიპციით.

2. „ქრისტემობასა წინა კვრიაყესა, რომელსა წიგნი შობისაჲ იკითხვების.
 კსენებაჲ წმიდათა მამად-მთავართაჲ და დღესასწაულებჲაჲ მკსნელისა ჩუენისა
 შობისაჲ, დს^ტდბლნი. ო^რ ღლ^ტყესა **ჯა დ გი**. რომელმან ედემს. — პირველ-
 თა მამათა, მორწმუნენო, კსენებასა ერთობით აღვასრულებდეთ...“

ციცკრად იბაკონი **ბ.** დიდ არს სარწმუნოებისა საქმეთა წარმართებაჲ...

უგ^ლდბლთსა **ა.** მონებისა მისგან მწა. ფერონ აკროსტიხონ ტოი ანდე. —
 მამად-მთავარნი წადიერნი ხელვად დღესა ამას. — მამად-მთავართა დღეს ყო-
 ველნი...

აქ^ლდბლთსა **დ გი**. იტონ ტუ ორლანონ. — საუცრად განცხრომაჲ დააცხ-
 რვეთ თქუენ...“ 13r—16r.

3. „დეკემბერსა **კ.** წინა დღესასწაულობაჲ უფლისა ჩუენისა შობისათჳს.
 ო^რ ღლ^ტყესა **ჯა დ.** მოგიცემიეს. — ესე არს ღმერთი ჩუენი და არაფინ არს
 სხუა ღმერთი...“

უგ^ლდბლთსა. დაანთქენ ვნებანი სულისა ჩემი. ალალი ურანე, — იხარებ-
 დით ცანი, განსცხრებოდენ ქუეყანაჲ...

აქ^ლდბლთსა **დ გი**. უფალო, მოწყალეებისა შენისა დღეს...“ 16r—18r.

4. „დეკემბერსა **კა.** დღესასწაულობაჲ მკსნელისა ჩუენისა განკაცებისა-
 თჳს. ო^რ ღლ^ტყესა **ბ გი**. ანგელოზთა დღეს წინა. — მოვედით, ერნო, დღეს
 გალობითა ახლითა...“

უგ^ლდბლთსა **ბ გი**. უკულეველად ზღუაჲ წიაღ ვ. — სულმცირისა ღრუბ-
 ლისაგან...

აქ^ლდბლთსა. დაუვალი იგი მზმ...“ 18r—20v.

5. დეკემბერსა **კბ.** წინა დღესასწაულობაჲ შობისათჳს უფლისა ჩუენისა.
 ო^რ ღლ^ტყესა **ჯა დ.** რაეამს მოწ. — კმაჲ ესაიამისი აღესრულების დღეს...

უგ^ლდბლთსა, ალალის თო იკტისის. — იხარებდით, ერნო, რამეთუ დღეს
 უფალი...“ 20v.

- შენიშვნები:** 1. წყდება: „უგალობითსას“ მეორე ტროპარის დასაწყისზე.
 2. 20r-ზე რვეულებრივი სათვალავია **ზ.**

6. [ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი. აკურთხევდითსა კა დ გი]. „მუდ წილ აღაგზნა საკუმლი მძლავრმან ქალდეველმან ყრმათაჲს...“ 21r--22v.

შენიშვნები: 1. „ძლისპირნი“ ეს ფრაგმენტი მოიცავს აკურთხევდითსას“ და „აღიდებდითსას“ ძლისპირებს.

2. ძლისპირებს უძღვით ბერძნული მოდელის დასაწყისები ქართული ტრანსკრიპციით.

3. III, 1—6 ტექსტები Sin. 59 ხელნაწერის კუთვნილებაა და შეედომით არის ჩაენიძული Sin. 1-ში.

4. 22v-ს ქვემო კიდეზე 9 სტრიქონიანი არაბული წარწერაა: „ვიყიდ ეს წიგნა საწყალობელმა კვირიაკოსმა قرقس... და დავდევი სინის მთის წიგნებთან... თუ ვინმე წაიკითხავს, კვლავ თავის ადგილას მოათავსოს... ვინც ასე არ მოიქცევა, წყეული იყოს...“ (თარგმანი რ. გვარამიასი).

IV. [ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი, გნძლრდასა კა გ გი]. „...მკსნელო ჩუენო, ვედრებითა მშობლისა შენისაჲთა...“ 23r—30v.

შენიშვნები: 1. „ძლისპირნი“ ეს ბოლო ნაკვეთი მოიცავს გამოცემის № № 303—401 ძლისპირებს.

2. 23r-ს ზემო კიდეზე მიწერილია რვეულებრივი სათვალავი დ.

3. ძლისპირებს უძღვით ბერძნული მოდელის დასაწყისები ქართული ტრანსკრიპციით.

4. 25r-ზე ასომთავრულით, სინგურით მიწერილია: „ქრისტე, შეიწყალე ი ვ ნ ე“. „ქრისტე, შეიწყალე ტ ი მ ო თ ე“ ტექსტის ბოლოს (30v-ზე) ასომთავრულით, სინგურით: „ქრისტე, შეიწყალე ტ ი მ ო თ ე მ დღელი, ამის იადგარისა მომგებელი“.

V. 1. „ქრისტეშობასა წინა კურავსა დსდზნი. ოო ღლყვსა კა ა. უტუ პარადოქსო თავმატს. ეჰა, დიდებული საკურველი, რამეთუ მეუფმ ყოველთაჲს...“

უგალობდითსა. იამბიკონნი იოვან მს და მასკელისა თქუმულნი. ყოველსა მუტლსა მ შეტყუებაჲ არს, ვინ გაიგონოს. კა ა. ესოსენ ლო. — სასწაულთა იკსნა ერი...

აქბდთსა. ქალწულო, ყოვლად ქებულო...

აღვსნთსა კა ა გი. გიხაროდენ, ყოველთა წმიდაო...“ 31r—33v.

შენიშვნა: ოო ღლყვსას“ და გალობათა პირველ ტროპარებს უძღვის ბერძნული მოდელის დასაწყისები ქართული ტრანსკრიპციით.

2. „წინა კურავით ქრისტეშობამდე ოო ღლყავსა და აქებდითსა ესე დასდებელნი სთქუნე კა ბ გი. იანგელიკე. — ანგელოზთა დღეს წინა უვიდოდღეს ძალნი...“

აღვსენითსა კა ა. მოვედით და მივიწინეთ დღეს ბეთლემს...“ 33v—34v.

3. „თა დეკემბერსა კე, შობაჲ უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესი, დასდებელნი. ოო ღლყვსა კა გ. ტო კირით ივს ჩენი ოენტოს. — უფლისა იესუს შობასა ჩუენუს...“

ოხთა კა ბ გი. დღეს ქრისტე იშვების ბეთლემს...“

ოგლბდსა კა ა. კოზმანიის თქუმულნი. ხრისტეს ჩენატე დოქსა. — ქრისტეს შობასა ვადიდებდეთ...“

აქბდთსა. დიდებამ მალალთა შინა გუესმა ჩუენ...
 აღვივწნითსა ჳა დ. რამე შეეწირით შენდა, ქრისტე...“ 34v—37v.

შენიშვნა: კანონი შეიცავს II ვალობასაც — „მოხილესა“.

4. „თა დეკემბერსა კვ, დავით-იაკობისი, დასდებელნი. ოო ღღყესა ჳა დ. კოზმან. ღმრთისშობილო ქალწულო, დედაო მაცხოვრისაო...
 ოგლბდთსა. კოზმანის და იოვანეს თქუმულნი. კოზმან. გიგალობთ შენ, უფალო ღმერთო ჩუენო. — გიგალობთ შენ, უფალო ღმერთო...
 აქებდთსა. ბეთლემს მოისწრაფეს მწყემსთა... 37v—39v.

შენიშვნა: ვალობათა ტროპარებთან მონაცვლეობით მითითებულია ორი ავტორი: კოზმან და იოვანე დამასკელი.

5. „დეკემბერსა კვ, წმიდისა სტეფანე პირველმოწამისა. ოო ღღყესა ჳა დ. მსნეო შორის მოწამეთა, ღუაწლისა მძლეო გ. — სულისა მიერ წმიდისა...
 ოგლბდთსა. ეტლთა სიმრავლმ. — ქრისტეს მორწმუნენო, მოვედით...
 აქბდთსა. მოვედით, აღვიდეთ მთასა წმიდასა ზეთი. — რომელი იშვა ჩუენთვის...

აღვესენითსა დ გი. სტეფანეს, ერნო, უგალობდით...“ 39v—42r.

6. „დეკემბერსა კვ, პეტრესი და პავლესი დსდბლნი. ოო ღღყესა ჳა დ გი. მოვედით, მორწმუნენო, მოციქულთა უფლისათა სიხარულით ვაქებდეთ...
 ოგლობდითსა ჳა დ. გიგალობთ შენ, უფალო ღმერთო ჩუენო...
 აქბდთსა. მოსკენ ცოდვილთა სახედ სათნოებისა...
 აღვივსენითსა იოვანისა ჰპოუნე კთ. ევა გვრგუნო ქებისანო“ 42r—44r.

7. „დეკემბერსა იოვანე მახარებლისა კთ ქართულად მისისა მ ჰპოუნე. დეკემბერსა კთ, ჩუილთა ყრმათა დასდებელნი. ოო ღღყესა ჳა დ გი. ეღუმთა ზედა. — მეუფემ დიდებისა უფალი ჩუენი...
 ოგლბდთსა. იწლი მონა-ქმული გამოიჯ. — რომელი იშვა პირველად მამისავან...
 აქბდთსა. მოგუნი, ბაბილოენით მოსრულნი...“ 44r—45v.

8. „თა იანვარსა ა, ბასილი მთავარებისკობოსისა დასდებელნი. ოო ღღყესა ჳა დ გი. თეოლოჯიას ანოფ. — ნესტუსა დაპბერე საგალობელი კმითა...
 ოგლბდთსა ჳა დ. მოვედით, ერნო, უგა. — ჯერ-არს შესხმად...
 აქბდთსა ჳა დ. ხისა მიერ ადამ შეც. — მამად-მთავარმან დავით სამითა ქვითა მოკლა გოლიათ...
 აღვივსენითსა დ გი. შენ ღმრთისმეტყუელებისა ნესტუად...“ 45v—47v.

9. „განცხადებასა წინასა კუირაესა, დსდბლნი ოო ღღყესა ჳა დ გი. რომელმან ეღუმს შ. — აწ იორდანე...
 უგლობდითსა იამბიკონნი ეგრევე შეწონილნი, ვითარცა ქრისტესშობისანი, იოვანე დამასკელისა თქუმულნი, ჳა დ. ზღუსა დღევათა მძუნვარეთა...
 აქბდთსა. ოდეს მოხუედ წყალთა მათ ზედა...“



ალვიგენითსა ჯა დ. ხისა მიერ აღამ შეტოთს... დაძულებული აღამ იორდანისა წყალთა განახლებ...“ 47v—50v.

10. „იანვარსა ვ, განცხადებად, დასდებელნი. ოო ღლყვსა ჯა ა. ფოსეს ფოტოს. — ნათელი ნათლისაგან გამოუჩნდი...

ოგლბდთსა ჯა ბ. კოზმანის თქუმულნი. განაპო სიღრმე ზღუსაჲ. — ნათელს-ილებს ქრისტე...

აქბდთსა. ინებე გამოქსნაჲ შეტომილისა კაცისაჲ...

ალვიგენითსა ჯა დ. მოსცენ ცოდვილთა სახესა. — უფსკრულნი ბრძანებითა შენითა შეპქმენ...“ 50v—53r.

შენიშვნა: 50v-ს ქვემო კიდზე მსხვილი ასომთავრულით წერია: „ოხითა ბოლოსა ია[ღ]გრისასა ჰპოო“.

11. „განცხადებითგან მსგეფსამდე ესე დასდებელნი ოო ღლყვსა და აქებდითსა სთქუნე, ჯა ბ გი. ანგელოზთა ღღესასწ. — ნათელი საღმრთოჲ, განმანათლებელი კაცთაჲ...“ 53r—54r.

12. „იანვარსა ვ, ნათლისღებისანი და იოვანე სოხასტრელისა დსდბლნი. ოო ღლყვსა ჯა ბ. პირველ საუკუნეთა მამისაგან შობილი...

ოგლბდთსა. მოვედით, ერნო, უგალობდეთ. — რომელი ჩუენთვს ქალწულისაგან ღმერთი განჭორციელდა...“ 54r—56r.

13. „იანვარსა ია, მამისა ჩუენისა თევდოსის დასდებელნი. ოო ღლტყვსა ჯა ა გი. ღირსო მამო, ღმერთშემოსილო თევდოსი...

ოგლბდთსა ბ. ღელვითა დანთქა პირველად ფარაო ეტლებით. — ვითარცა ბრძენი. წესიერი მოძღუარი ჩუენი...

აქბდთსა. ღირსო მამო, ვითარცა მდინარეთა სღვაჲ ახარებს...

ალვიგენითსა ჯა ა გი. გიხაროდენ, სამკუდრებელო შეუენიერო. — გოლოლი მალალი სათნოებათაჲ აღაშენე...“ 56r—58v.

14. „იანვარსა იგ, მამათა სინელთა და განცხადებისა მსგეფსი, დასდებელნი. ოო ღლყვსა ჯა დ გი. უფალო, დაღაცათუ ვითარცა კაცი წინაშე იოვანესა სდგე...

ოგლბდთსა. უგალობდეთ უფალსა, მორწმუნენო, რომელმან და. — დასწუენ იორდანისა მდინარეთა ცოდვანი...

აქბდითსა. უფალო, ლაზარეს საფ. — უფალო, აღსრულებად ინებე...

ალვიგენითსა. იშვე შენ ქუეყანასა, იესუ...“ 58v—61r.

15. „იანვარსა ივ, ქოზიბას ღმრთისმშობელისა დასდებელნი. ოო ღლყვსა ჯა დ გი. ჰ დიდებული საკვრველი, რამეთუ შვა ქალწულმან...

ოხთა ა გი. გიხაროდენ, ბჭეო ცათაო...

ოგლბდთსა ჯა დ გი. უგალობდეთ უფალსა, რომელმან განიყვ. — ღმრთისმშობელო ქალწულო, მტრთველო სიტყვსა...

აქბდთსა. ლაზარსა განმღებელსა. — შენ შეიწყნარე უხილავი სიტყუაჲ...“ 61r—62r.


16. „იანვარსა იზ, მამისა ანტონისი დასდებელნი. ოო ღლტყვსა ჯა ა გი. გიხაროდენ, თანაზიარო ანგელოზთაო...

ოგლბდთსა, იწლი მონ-ქმნული. — ღმრთივგანბრძნობილსა ანტონის...“

აქბდთსა. ნესტუსა დაპბე. — აჰმალღი ზეცად, სანატრელო ანტონი...“ 62r—64r.

2. სინური კოლექცია

117-004
4



17. „იანვარსა კ, მამისა ევთუმესი დასდებელნი. ოო ღლწყსა კა ა. მამაო ევთუმე, შობასა შენსა მოივლინა ანგელოზი...

ოგლბდთსა. არარაჲ არს სახედ. — განაქარვე მწუხარებაჲ მშობელთა შენთაჲ...

აქბდთსა დ გი. შ სასწაული საკრველი. — ღირსო მამაო ევთუმე, დაუტევე ქუეყანაჲ...“ 64r—65v.

18. „იანვარსა კდ, ყოველთა წმიდათა დასდებელნი. ოო ღლწყსა კა დ გი. ვითარმედ გხადოდით თქუენ, წმიდანო...

ოგლბდთსა. იწლი მონა-ქმნული გამოიქსენ, უფალო, მკლავითა შენითა მტკიცო. — კსენებასა წმიდათასა ჭეშმარიტად...

აქბდთსა. ქრისტეს მოწამენი ყოველთა ადგილთა...“ 65v—67v.

19. „იანვარსა კე, გრიგოლ ღმრთისმეტყუელისა დასდებელნი. ოო ღლტყესა ა გი. გიხაროდენ, ღირსო წყარო ღმრთისმეტყუელებისაო...

ოგლბდთსა კა ა. მხილველი ღმრთისაჲ მოსე. — სისხლსა გამოქსნისასა... აქბდთსა. მამაო გრიგოლ, საფლავმან, რომელ არს მიზეზი დაეწყები-საჲ...“ 67v—68v.

20. „იანვარსა კზ. იოვანე ოქროპირისაჲ დასდებელნი, ოო ღლტყესა კა დ. შემსგავსებულად ქალაქსა სამეუფოსა...

ოგლბდთსა დ გი. გალობაჲ შევწირით, მორწმუნენო, ღმრთ. — სიბრძნე უზეშთაესი მოგცა ვითარცა სოლომონს...

აქბდთსა. ნესტუსა დაპბერე საგა. — ბაგეთა შენთა თაფლი გარდმომდინარე, ოქროპირო...“ 68v—71r.

21. „თა იანვარსა ლა, კკროს და იოვანესი დასდებელნი. ოო ღლტყესა კა ა. ზეცისა მკედრობათა თანა...

ოგლბდთსა დ. ზღუსა მის მეწამ.—საცთური მტერისაჲ დაპკსენ, ნეტარო...

აქბდთსა. მკნეო შორის მოწამეთა...“ 71r—72v.

22. „თა ფებერვალსა ა, მამისა ეფრემისი დასდებელნი. ოო ღლტყესა კა ა. ზეცისა განწესებულთა ძალთა სიქად. — სამოთხისა სიკეთესა განიცდიდი...

ოგლბდთსა კა ბ. ყოველი ერი უგალობდეთ უფალსა მძღესა. — მოვედით, მორწმუნენო, დღესასწაულსა წმიდისა ეფრემისა...

აქბდთსა. გიხაროდენ და მხიარულ იყავ...“ 72v—74r.

23. „ფებერვალსა ბ. მიგებებაჲ, დასდებელნი. ოო ღლტყესა კა გ გი. კატა კოსმისონ ტონ. — მკდომარე ეტლთა ქერობინთა მეუფე...

ოგლბდთსა გ. უქმი ქუეყანაჲ სამკულდრებელი ზღუათაჲ. — ზეცით აცურის ღრუბელთა დღეს...

აქბდთსა კა გ გი. პირმშოჲ, შობილი მთავრისაჲ მის...

აღვივენითსა დ გი. მოვედით, მორწმუნენო, დღესასწაულის მოყუარენო...“ 74r—76v.

24. „ფებერვალსა ვ, ივლიანე მოწამისაჲ და მოყუასთა მისთაჲ დასდებელნი. ოო ღლტყესა კა დ გი. მომიქსენენ ჩუენ, ქრისტე, სოფლის მაცხოვარ...

ოგლბდთსა. იწლი მონა-ქმნუ. — კსენებასა ივლიანე, სილოანე, მოქი-მო ლუქაის თანა...

აქბდთსა კა ა. მოვედით, მოყუარენო, დღესასწაულსა...“ 76v—78v.

25. „ფებერვალსა ი, წმიდისა თეოდონიასი. დასდებელნი, ოო ღლტყესა კა დ. ჟუართა იქმენ შეჭურვილ, მღდელთ-მოდღუარო უფლისაო...

ოგლბდთსა კა ა გ. ი. ეტლთა სიმრავლე. — სამებაო წმიდაო, ნათლისა მომცემელო...

აქბდთსა. გიხაროდენ, სამკუდრებელო შუენ. — ღირსო მღდელთ-მოდღუ-
 არო თეოდონია...“ 78v—80r.

VI.1. „დასდებელნი წმიდათა მარხვათანი. დღესა კურიაესა კორცითა
 აღებასა, ელია პატრიარქისა თქუმულნი. ოგლბდთსა კა ა. მარჯუენა
 შენი უძლეველი. — ვინ შემძლებელ არს მიწდომად სახიერებისა შენისა,
 ქრისტე...“ 80v—82v.

2. „ყველიერისა პარასკევსა დასდებელნი მთავარანგელოზთანი, ოო
 ღლყესა კა დ. მხნეო შორის მოწამეთა, ლუაწლისა მძლეო. — რომელმან
 შეჭქმენ პირველად ანგელოზნი...

ოგლბდთსა. გიგალობთ შენ, უფალო ღმერთო ჩუენო...

აქბდთსა. მოგიცემიეს, ღმერთო, სასწ. — პირველ საუკუნეთა დამბადე-
 ბელმან...“ 82v—84r.

3. „კორციელსა პარასკევსა ანუ ყველიერისა შაბათსა დასდებელნი წინე-
 ველთანი. ოგლობდითსა კა დ გ. ი. ისრაელი მონა-ქმნული გა. — მოგუანიჭა
 ღმერთმან ჩუენმან კაცთმოყუარებისათუს მიზეზი სინანულისაო...

აქბდთსა კა ბ. გამოუკულეველო ყოველთა უფალო...“ 84r—85v.

4. „წმიდასა კურიაესა ბ, ყველითა აღებასა დასდებელნი ელია პატ-
 რიარქისა თქუმულნი. ოგლობდითსა კა ბ. ღელვათა დაან. — ამილდა ქრის-
 ტე ჟუარსა ზედა და წინაღმდგომი მტერი ბოროტი განაქარვა...“ 85v—87v.

5. „პირველსა შაფათსა წმიდათა მარხვათა წმიდისა თეოდორესი დასდე-
 ბელნი. ოო ღლყესა კა ა. კეთილად მსახურებითა სიმდიდრე მოიგე...

ოგლბდთსა. ქუეყანასა მწყურნებსა ვითარცა ქ. — მეცნიერ ვართ შენ-
 და, სანატრელო...

აქბდთსა კა ბ. გიხაროდენ და მხიარულ იყავ. — შენ ნიჰად განმამდიდ-
 რებელად...“ 87v—89r.

6. „წმიდასა კურიაესა გ, დასდებელნი ელია პატრიარქისა თქუმულ-
 ნი. ოგლობდითსა კა გ. რომელმან წამის-ყოფით შეკრიბნა. — უღმერთობაო
 აიღეს უარისყოფელთა ქრისტეს ღმრთისათა...“ 89r—91r.

7. „მარტსა თ, წმიდათა ორმოცთა დასდებელნი. ოო ღლტყესა კა ა
 გ. ი. — გიხაროდენ, შეერთებულნი, ახოვანნი და ძრიელნი...

ოგლობდთსა კა ბ. მოვედით, ერნი, უგალობდეთ გ. — უგალობდეს გა-
 ლობითა საღმრთოთათა...

აქბდთსა კა დ გ. ი. ედემთა ზედა. — ვითარცა ედემ შინა მყოფ იყ-
 ნეს...“ 91r—93v.

8. „მარტსა ით, მამათა დამწუართა. დასდებელნი. ოო ღლყესა კა დ.
 მენეო შორის მოწამეთა. — რომელთა ცხოვრებაო ესე წარმავალი შეურაცხ-
 ყავთ...

ოგლობდთსა დ გ. ი. გალობაი შევწიროთ მორწ. — ცნობაი განმინათლე
 მე, ქრისტე...

აქებდ'თსა. უფალო, დაღაცათუ მსახურთა შენთა..." 93v—95v.

9. „მარტა კე, ხარებია, დასდებელნი. ო'ო ღ'ტყესა კ'ა ა. ება დიდებით საკრველი, რამეთუ მალისა საყდართაგან..."

ოგ'ლბდთსა. რომელმან გამოიქსნა ჩუენ კ. — რომელმან მოგვივლინა დღეს მთავარანგელოზნი...

აქ'ბდთსა. რაქამს მოწყალე ექმნა დამბადებელი წყალობით დაბადებულთა...

ალეიხენითსა კ'ა დ გ'ი. მთავარი ზეცისა..." 95v—97v.

შენიშვნა: „აქურთხედითსა — ანბანსა ზედა ბერძულსა“ (96v); „აიდიბ-დითსა — ოქასა ზედა ბერძულსა“ (97r).

10. „წმიდასა კურიაკესა დ. დასდებელნი ელია პატრე არქისა თქუ-მულნი. ოგ'ლობდითსა კ'ა დ. ზღუსა მის მეწამულისა დღევათა. — კრებაჲ უარის-ყოფელთაჲ უმჯულოთაჲ შეკრბა ამოდ..." 98v—99v.

11. „წმიდასა კურიაკესა ე, დასდებელნი. ოგ'ლბდ'თსა კ'ა ა გ'ი. ეტლთა სიმრავლმ მკედ. — ძრიელმან ძალითა ბრძოლასა..." 99v—101r.

12. „წმიდასა კურიაკესა ვ, დასდებელნი, ოგ'ლბდთსა კ'ა ბ გ'ი. უკუღუ-ველად ზღუაჲ წ. — შენ, რომელმან თავს-იდეჲ ვენებაჲ კორციითა..." 101r—103r.

13. „წმიდასა კურიაკესა ზ, დასდებელნი ოგ'ლბდთსა კ'ა გ გ'ი. წამის-ყოფითა, ღმერთო, შუ. — სიბრძნეთა შენთა, ქრისტე, მიუწოდომელთა სიღრ-მითა..." 103r—104r.

14. „წმიდასა დღესა ბზობისა პარასკევსა ცისკრად ლაზარეს მოსწავებაჲ და წმიდათა მღვდელთ-მოდღუართა დასდებელნი. ოგ'ლბდთსა დ გ'ი. ეტლთა მფლობელი. — უგალობდეთ ქრისტესა მეუფესა სიხარულით, მორწმუნენო..." 104r—106v.

15. „ბზობისა პარასკევსავე დასდებელნი მღვდელთ-მოდღუართანი. ო'ო ღ'ტყესა კ'ა დ. მკნეო შორის მოწყამეთა, ლუაწლისა მძლეო. — მკნედ დაუთ-მეთ სატანჯველსა, სანატრელნო...

ოგ'ლბდთსა. უგალობდით უფალსა, რომელმან განიყვანა ერი თვისი... — დაარღუეთ წყალებიჲ წინააღმდგომთაჲ...

აქ'ბდთსა. ქრისტეს მოწამენი ყოველთა ადგილთა წმიდა. — მოეცა, ქრის-ტე ღმერთო, მონათა შენთა სიტყუაჲ სიბრძნისაჲ..." 106v—108r.

16. „ლაზარეს ადგომასა დასდებელნი. ო'ო ღ'ტყესა კ'ა დ გ'ი. უფა-ლო, ლაზარეს საფლავისა გენება ხილვაჲ...

ოგ'ლბდთსა. უგალობდეთ უფალსა, რომელმან გამოიყვანა ერი. — უგა-ლობდეთ უფალსა, რომელმან განიყვანა ლაზარე ოთხისა დღისაჲ საფლავით... აქ'ბდთსა. ეტყოდე შენ, უფალო, წინააღმწარ მართასა..." 108r—109v.

17. „ბზობისანი დასდებელნი. ო'ო ღ'ტყესა კ'ა გ გ'ი. იხარებდ, ქალ-წულო, ღირსო სიონ...

ოგ'ლბდთსა. იხილვა კმელად სიღრმმ... აქ'ბდთსა დ გ'ი. მოვიდა მკსნელი წმიდად ქალაქად...

აღვ'ესენითსა. ედემთა შენდა. — რაჲსა დასდებდ შენ, ზაქარია, სიონისა-თსი..." 110r—112r.

შენიშვნები: 1. „ო რ ღაღადყავას“ ბოლოს წერია: „ესე მოსართავად სთქუა დასდებელსა ზედა შსანასა მადალთა შინა: კუროსხელ ხარ შენ, რომელი მიხუდ იქლთა. ოსანა მალათა შინა...“ (110r).

2. „აეუროსხედისას“ ახლავს ბერძნული მოდელის დასაწყისი ქართული ტრანსკრიპციით: „ეფერანტიე იქლმ“.

3. „აქებდისას“ ბოლოს მიწერილია სინგურით: „ოსანაა შუა სთქუა, ვითა ო რ ღ ტყვსა, მუნ სწერია“ (111v).

18. „ბზობისა მწუხრსა ო რ ღ ტყვსა ჯა დ გი. ცხოველს-ყოფელი ვენბაჲ ქრისტესი...“ 112r—v.

VII.1. „დიდსა ორშაბათსა, დასდებელნი, ოგ ლბდთსა ჯა ბ. რომელმან განაკმო ზღუაჲ. — ეჰა სიმდბლჴ ღმრთისაჲ მიუწლომელი...“ 112v—113v.

შენიშვნები: 1. შეიცავს ცისკრის სამფსალმუნს, „აქებდისას“ და მწუხრის „ო რ ღაღატყავას“ (113v).

2. „აქბღთსას“ უკანასკნელი ტროპარის, ღმრთისმშობლისა, მხოლოდ დასაწყისია მოტანილი, რომელსაც სინგურით, მთავრულით მიწერილი აქვს: „ნ ი ნ ე ვ ე ლ თ ა ს ა ჰ ჰ ო ო“ (113v).

2. „სამშაბათსა, მოიხილესა. მიესცეთ ჩუენ დიდებაჲ დღეს უფალსა ღმერთსა ჩუენსა...“ 114r—115r.

შენიშვნები: 1. შეიცავს ცისკრის სამფსალმუნს, „აქებდისას“ და მწუხრის „ო რ ღ ღყვსას“.

2. „მოიხილესა“ ლექსის ფორმით არის დაწერილი, ყოველი ტაევი ახალი სტრიქონით იწყება (114r).

3. [ოთხშაბათსა] „განძლიერდასა. კლდესა ზედა სარწმუნოებისასა. — კრებული ურჩულოთაჲ შეკრბა ამაოდ...“ 115r—116v.

შენიშვნები: 1. ოთხშაბათის ცისკრის მასალა სამშაბათის მწუხრის მასალაგან გამოყოფილი არ არის. გამოჩენილია დღის (ოთხშაბათის) აღნიშვნა. შეიცავს ცისკრის სამფსალმუნს, „აქებდისას“ და მწუხრის „ო რ ღაღატყავას“.

2. ცისკრის სამფსალმუნის „ადიდებდისას“ და აქებდისას“ პირველ ტროპარებთან მოტანილია მათი ბერძნული მოდელეების დასაწყისები ქართული ტრანსკრიპციით.

4. „ხუთშაბათსა, უგ ლბდთსა ჯა ბ გი. ზღუაჲ მეწამული კუერთ. — ღმრთისა სიბრძნემან სოფლისა ამის ცხოვრებისა...“

აქბდთსა. იუდა მზაკუვარმან და მიმცემელმან ამბორის-ყოფითა სიცრუისაჲთა...“ 117r—119r.

შენიშვნები: 1. ხუთშაბათზე მოტანილია სრული ვალობანი და მწუხრის „ო რ ღაღატყავსა“.

2. ვალობანის დასაწყისთან მიწერილია — კ ო ზ მ ა ნ.

5. „პარასკევსა, ოგ ლბდთსა ბ. ნეტარისა ი ო ვ ა ნ ე ს თქუმულნი. უკუღველაღ ზ. — შენ, რომელი მოსლვად ხარ განშჯად სოფლისა...“ 118v—120r.

6. „მასვე დიდსა პარასკევსა დასდებელნი. ღმითგანსა ნეტარისა კ ო ზ მ ა ნ ის თქუმულნი ჯა ბ გი. შენდა აღვიმსთობთ, რომელმან წყალობით მიეც სუელი შენი დაცემულთათჴს...“ 120r—123v.

შენიშვნა: შეიცავს სამფსალმუნს, „აქებდისას“ და „აღვიცენისას“ (121r—v). მოსდევს: „მწუხრი, ო რ ღ ტყვსა ჯა დ გი. საშინელი იგი ხილვაჲ...“ (121v). პარასკევის მწუხრი გამოყოფილი არ არის შაბათის ცისკრისაგან.

7. [შაბათი] „ოგლბდთსა ჯა ბ გ ი. რომელმან დაფარა სიღრმესა მღევარი ესე დღეს...“

აქბდთსა. ოტე ეკ ტუ ქსეოლო. — რაჟამს გარდამოჰქსნა ძელისაგან არი-მათიელმან მაცხოვარი...

მწუხრი, დასდებელნი ოო ღლტყესა ჯა ა. უტო პადოქსო თავმატოს. — ნათელი სამწუხროა გამოუჩნდა...“ 123v—124r.

შენიშვნა: აქ მთავრდება საზამთრო იადგარი: „დიდებამ შენდა, ღმერთო ძრიელო და ცხოველო, დაესრულა იადგარი საზამთროა. ქმ, შეიწყალე ტიმოთე მოძღუარი, ამისი მომგებელი, და ივანე უცბად მხბრეკალი“ (123v).

VIII.1. „აღვსებას ცისკრად ოგლბდთსა ა. დღესა მას ადგომისასა ვიხარებდეთ, ერნო...“

აქბდთსა. აქებდით ცანი ძალთა თანა...

აღვსებასა მწუხრი. ოო ღლტყესა ჯა გ გ ი. რაჟამს ასდგე საფლავით, დამბადებელო...“ 124v—126v.

შენიშვნა: 124v—125v-ს კიდეებზე, იოვანე-უოსიმეს ხელით, მიწერილია ცისკრის კანონის ვალობათა ღმრთისმშობლისანი.

2. „ახალ-ქურიაყესა დასდებელნი. ოო ღლტყესა ჯა ა. რომელი ბქეთა ქმულთა...“

ოგლბდთსა აღვსებისათა ზედა. დღესა მას ადგომისასა ვიხარობდეთ...

აქბდთსა. შემდგომად რვა დღისა ადგომისა...“ 126v—128r.

3. „მწუხრი ოო ღლტყესა ჯა ა. ზეცისა განწესებულთა ძა. — ყოველთა დღესასწაულთა უდიდებულსი...“

უგლბდთსა. უგალობდეთ უფალსა, რომელმან მწარი. — დღეს არესა სულთასა...

აქბდთსა ქართულნი. ესე არს დღე, რომელ ქმნა უფალმან აღსასრ“ 128r—130r.

შენიშვნა: „უგალობდითსას“ გასწვრივ კიდეზე მიწერილია „ქზნ“ (კონზან).

4. „მე-ბ-სა სამშაბათსა, დედათა მენელსაცხებელთა: მარიამ ღმრთისმშობელისა, მარიამ მაგდანელისაჲ, მარიამ კლეოპასისი, მარიამ იაკობისი, მარიამ იოჰანეშისი და ლაზარეს დათაჲ, რომელნი ნელსაცხებლითა გლოით საფლავად მივიდეს, დასდებელნი. ოო ღლტყესა ჯა ა. ზეცისა ძალნი შეძრწუნდეს, რაჟამს გიხილეს...“

ოგლბდთსა ჯა დ. გიგალობთ შენ, უფალო ღმერთო. — გიგალობთ შენ, უფალო ღმერთო...

აქბდთსა რომელი ხარ დიდებულ ქსენებასა წმიდათასა, ქრისტე ღმერთო...“ 130r—131r.

5. „მეორესა ხეთშაფათსა, ელია წწტყლისა დასდებელნი, ოო ღლტყესა ჯა ა. — ეჰა, ვითარ ბაგეთა ვორციელთა გამოთქჳან ქებაჲ შენი...“

ოგლბდთსა. მარჯუნეაჲ შენი უძლე. — უგალობდეთ ელია წინაწარმეტყუელსა...

აქბდთსა, ზეცისა განწესებულთა ძალთა. — შენ, რომელმან ელია თეზბიტელი ქუეყანით...“ 131r—133r.

6. „მეორესა შაფათსა, განრღუეულისა დასდებელნი. ო^ო ღ^ღ ტყესა ა. ზეცისა განწესებულთა. — რაჟამს ახუდ, ქრისტე, ქალაქად ი^იწმოდ...“

ოგ^ო ზღბდთსა დ. გიგალობთ შენ, ღმერთო. — გიგალობთ შენ, უფალო ღმერთო ჩუენო...

აქ^ა ზდთსა. რომელი მოხუედ ზეცით ძიებად წარწყმედულთათჳს...“ 133v—134r.

7. შემდგომად ახალკუიარისა, რომელ კურაე იყოს, იოსებ არიმათიელისა დასდებელნი. ო^ო ღ^ღ ყესა დ გ^გ ი. — ზ, დიდებულო ბრძენო, დაღათუ დავფარა შენ...

ოგ^ო ზღბდთსა. ი^იწლი მონა-ქ. — ქსენებასა დიდებულსა იოსებ მართლისასა...“ 134v—136r.

შენიშვნა: „ადიდებდითას“ შემდეგ წერია: „აქ^ა ზთსა ო^ო ღ^ღ დაღატყავისანა სთქუნე, გინა დიღისა შაფათსანი, რაჟამს გარდამოქსნა ძელისაგან არიმათიელმან მაეზოგარი ყოველთა“ (136r).

8. „განზოგებასა ზატიკთასა დღესა ოთხშაფათსა მე-დ, ქსენებამ ადამისა და წმიდათამ, რომელნი აღდგეს მკდრეთით და შევიდეს წმიდასა ქალაქსა ი^იწლმსა და გამოეცხადნეს მრავალთა, დასდებელნი, ოგ^ო ზღბდთსა კ^კ ა. მხილველი ღმრთისა მოსე. — გალობითა ახლითა უგალობდეთ...“ 136r—137v.

9. „მე-ე ხუთშაბათსა, ამაღლებამ უფლისა ჩუენისა, დასდებელნი. ო^ო ღ^ღ ტყავსა ა. იმე-ე ქალწულისაგან, ქრისტე, ღმერთო ჩუენო...“

ოგ^ო ზღბდთსა კ^კ ა გ^გ ი. მქსნელსა ჩუენსა ღმერთსა, რომელმან. — უგალობდეთ, ერნო, ქრისტესა...

აქ^ა ზდთსა. მოვედით, აღვიდეთ მთასა ღმრთისასა...“ 137v—139r.

10. „მარტულიასა დასდებელნი. ო^ო ღ^ღ ტყესა კ^კ ა დ გ^გ ი. — მოვედით, მორწმუნენო, განწმედილითა გულითა...“

ოგ^ო ზღბდთსა კ^კ ა გ^გ ი. უფსკრულთა ზ. — ვითარ-იგი აღუთქუ პირველად...“

აქ^ა ზდ^დ თსა. ამაღლდა ზეცად მხოლოდ-შობილი იგი...“ 139r—140v.

„მარტულიასა მწუხრი, დასდებელნი. ო^ო ღ^ღ ყესა კ^კ ა ბ. უფალო, მოსლვამან სულისამან აღავსნა დღეს მოციქულნი მადლითა...“ 140v—141r.

11. „დღესა ორშაბათსა, ოგ^ო ზღბდთსა სულისა წმიდისანივე, იამბიკონნი, იოვანე და მასკელისა თქუმულნი, ა შეტყუებამ ე-ჯერ იბ. თიო კალუფთი სიმრო. — საღმრთომან ნისლმან დაფარა ენა მძიმე...“

აქ^ა ზდთსა. მოგიცემის, ღმერთო. ა. — დღეს დაწერგვამ სულისა ყოლად წმიდისა...“ 141r—142v.

12. „ორშაფათსა მწუხრი. ო^ო ღ^ღ ტყესა კ^კ ა გ... და მსგეფსამდე ამათი ტყუიან სიონს — დღესასწაულად ყოველთამ იხილვენს ენანი...“

ოგ^ო ზღბდ^დ თსა კ^კ ა გ^გ ი. ღმერთსა, რომელმან დაანთქა მეწამულსა. — მეერგასესა დღესა ვდღესასწაულობთ...“

აქ^ა ზდთსა. ნუგეშინის-მცემელი გუაქუს...“ 142v—144r.

IX.1. „შემდგომად მარტულიასა ოთხშაფათსა ქართლს ჯუარისამ მასა ზ ჰპოვნე. მარტულიასა მსგეფსსა წმიდისა მოწამისა ქრისტინამის დასდებელნი. ო^ო ღ^ღ ტყესა კ^კ ა დ გ^გ ი. უფალო, დაღაცათუ ქალწულისაგან, ამას ზედა. — უფალო, მოწამემან შენმან ქრისტინა...“

ოგ^ო ზღბდთსა. ი^იწლი მონა-ქმნუ. — დღესასწაულსა წმიდისა ქრისტინასა...“

აქბდთსა. ზ სიბრმე იგი ჰერ. — ვინ არაა განემზადოს ქებად...“ 144r—145r.

2. „თა აპრილსა კვ, წამებაა წმიდისა გიორგისი, დასდებელნი. ოო ღღტყვსა კა დ. მკნეო შორის მოწამეთა... — სარწმუნოებისა ქური და მახული იგი მადლისაა...“

ოგლბდთსა. მწყობრი იწლისაა რაი განვიდა. — მორბედებაა ღუაწლთაა რაი მოიგე...

აქბდთსა კა ა. გეორგი მკედარი...“ 145v—147r.

3. „აპრილსა კდ, გიორგისივე დასდებელნი. ოო ღღტყვსა კა ა. გიხაროდენ, წმიდაო გიორგი, ახოვანო...“

ოგლბდთსა დ გ. ი. უვალობდით უფალსა. — რომელმან აღმოუბრწყინვა სოფელსა...“

აქბდთსა. მოვედით, მორწმუნენო, მოღუაწისა კსენებასა...“ 147r—149r.

4. „აპრილსა კე, მარკოზ მახარებლისაა დსდბლნი. ოო ღღტყვსა კა ა. ეპა, მარკოზ წმიდაო, სადა-იგი პირველ განმრავლდა უღმრთეებაა...“

ოგლბდთსა კა დ. ზღუისა მის მეწამულ. — სიმკნით ქუეყანასა ზედა...“

აქბდთსა. სასწაული საკრველთაა. — მარკოზ მახარებლო, სანატრელო...“ 149r—150v.

5. „თა მისისა ა, იერემია წინაწარმეტყუელისაა დსდბლნი, ოო ღღტყვსა კა დ გ. ი. — უფალო, უპირადეს დაბადებისა უწყოდე შენ, იერემია...“

ოგლბდთსა დ გ. ი. ქუეყანასა მწყურნებსა ვითარცა. — პირველ დაბადებისა...“ 150v—152r.

შენიშვნები: 1. „ადიდებდითას“ ბოლოს წერია: „აქბდთსა ოო ღღტყვსა სოქუნე“.

2. სათაურთან მიწერილია მთავრულით, სინგურით: „ქრისტე, შეიწყალე ტიომოთე“.

6. „მისისა ბ, ათანასი აღუქსანდრიელი მამად-მთავრისაა. ოო ღღტყვსა კა დ. სწავლათა მათ შენთა...“

უგლბდთსა. ეტლთა მფლობელი ფარ. — ქებასა შევასხმიდეთ ჩუენ...“

აქბდთსა. უფალო, აღსრულებად ინებე. — საყური საღმრთოა კმა შეენიერად მგალობელთანი...“ 152r—154r.

7. „თა მისისა ვ, იოზ მართლისაა დასდებელნი. ოო ღღტყვსა კა დ. ხისა მიერ აღამ შ. — ღუაწლსა განსაცდელთასა, სანატრელო...“

უგლბდთსა. მწყობრი იწლთაა რაი განვიდა ფერკითა დაუ. — მოთმინე მგანსაცდელთა მრავალთაა...“ 154r—155v.

შენიშვნა: „ადიდებდითას“ ბოლოს წერია: „აქბდთსა ოო ღღტყვისანი სოქუნე“ (155v).

8. „მისისა ზ, ჭუარისა გამოჩინებაა, დსდბლნი. ოო ღღტყვსა კა დ. მოციემიეს, ღმერთო, სასწაულად მოშიშთა...“

ოგლბდთსა. სიღრმე მეწამულისაა პირველვე განულო იწლთა ერსა ქრისტემან და მაშინა განიყვანა ზ. — საბაისტა ჰპოო.

აქბდთსა. ლახუარსა, განმღებელსა გუერდისა შენისასა...

აღვიესენითსა. ჰ სასწაული საკრველთაჲ, რამეთუ ძელი იგი ცხორების მომცემელი...“ 155v—158v.

9. „მაისსა **მ**, იოვანე მახარებელისა და არსენი მონაზონისაჲ დასდებელნი. ო^ო ღ^ღტყვისა **კ**ა **დ** გ^ი. ჰ სანატრელო იოვანე, მოიგე შენ მკურვალე ქრისტეს მიმართ სიყუარული...“

ოგ^ღლბდთსა. ეტლთა მფლობელი ფარა. — იყავ შენ წმიდა და საყუარელ ნათლისა...

აქბდთსა. უფალო დაღაცათუ მოწაფე შენი..“ 158v—161r.

10. „მაისსა **თ**, ესაჲა წინაწარმეტყუელისაჲ დასდებელნი. ო^ო ღ^ღყვისა **კ**ა **ა**, წინაწარმეტყუელნი ყოვლად ქებულნი...“

ოგ^ღლბდთსა. გიგალობთ შენ, უფალო, ღმერთო ჩუენო. — განმანათლე უფალო, ღმერთო ჩემო...

აქბდთსა **კ**ა **ა** გ^ი შეკრებულსა წინაწარმეტყუელთასა ჰპოვნე — მოვედით, მორწმუნენო, საყსნ“ 161r—162v.

11. „მაისსა **იბ**, ეტუფანე კუპრელ მთავარებისკობოსისაჲ დასდებელნი. ო^ო ღ^ღყვისა **კ**ა **ა**. ჭუარი აემართა თხემისა ადგილსა...“

ოგ^ღლბდთსა. მარჯუენაჲ შენი უ. — რაჟამს იყავ სარწმუნოებით მორბედ...“

აქბდთსა. ხისა მიერ ადამ შეცთომი. — სუეტად ნათლისად...“ 162r—163v.

12. „მაისსა **კ**, იერუსალმისა წარტყუენეჲ, დასდებელნი. ოგ^ღლბდთსა **დ** გ^ი. უგალობდეთ უფალსა, რომელმან გ. — წარტყუენვასა წმიდისა ქალაქისა...“

აქბდთსა. ქრისტეს მოწამენი ყოველთა ადგილთა წმიდა — იანვარსა **კ**დ“ 164r—165v.

13. „მაისსა **კდ**, სუმეონ ანტიოქელისაჲ დასდებელნი. ო^ო ღ^ღტყვისა **კ**ა **ა** გ^ი. ღირსო მამაო, ჰპოე კეთილი სუეტი...“

ოგ^ღლბდთსა. ეტლთა მფლობელი ფ. — აღსაარებჲა უფლისაჲ ჭეშმარიტად არს საცხენებელი შენი...“

აქბდთსა. ხატად დაწერილად გაქუნდა სათნოებჲა...“ 166r—168r.

14. „მაისსა **ლ**, წმიდისა მამადმთავრისა კუპრეანესი დასდებელნი. ო^ო ღ^ღტყვისას **კ**ა **ა**. დიდი მღვდელთ-მოდღუარი, დიდებით დიდებასა აღწეენული...“

ოგ^ღლბდთსა. ზღვსა მის მეწამელისა. — საცხენებელი წმიდისა კუპრიანესი ილიდების...“

აქბდთსა. მღვდელთ-მოდღურებისა მადლითა...“ 168r—170r.

15. „მაისსა **ლა**, კატიანოზ და ნისტერეონისი. ოგ^ღლბდთსა **კ**ა **დ**. არარაჲა სახედ შენდ. — აღაღე დღეს პირი ჩემი...“

აქბდთსა კოზმან-დამეანეთასა ჰპოო — რომელი ხარ დიდებულ კსენებასა...“ 170v—171v.

16. „თ^ა იენისსა **ა**, წმიდისა ქრისტეფორესი დასდებელნი. ო^ო ღ^ღყვისა **კ**ა **დ** გ^ი. უფალო, დაღაცათუ მოწამე შენი...“

ოგ^ღლბდთსა. უგალობდით უფალსა, რომელმან განიყ. — უგალობდით უფალსა, რომელმან ყო მოწამე ქრისტეფორე...“

აქბდთსა. მომიკსენენ ჩუენ, ქრისტე, სოფლის მაცხოვარ...“ 171v—172v.

17. „იენის[ს]ა **იფ**, ლეონტისი მოწამისაჲ დასდებელნი. ოგ^ღლბდთსა **კ**ა **დ**.

გიგალობთ შენ, უფალო ღმერთო. — სათნიგებაჲ უზეშთაეს არს შჯულსა ქებისასა...

აქბდტსა დ გ.ი. რამე სახელ-გდვთ შენ, დიდებულო...“ 172r—174r.

18. „იენისსა კვ და კვ, წმიდისა ფებრონიასი დასდებელნი. ო.ო ღღტყვ-სა კ.ა.ბ. რაჲამს დაამტყვე სოფელი...“

ოგლბდტსა. მოვედით, ერნო, უგ. — მოვედით დღეს, მორწმუნენო...“ 174r—175r.

შენიშვნა: 174—175 ფფ. შორის აკლია ერთი (კვ) რვეული.

19. „თ.ა იელისსა ბ, წმიდათა მოწამეთაჲ პავლე, ბილონ, თეონ, ირონ დასდებელნი. ოგლბდტსა კ.ა.დ. არარაჲ არს სახელ შნ. — ღუაწლთა თქუენთაგან, ნეტარნო მოწამენო ქრისტესნო...“ 175r—176r.

20. „იელისსა მ, წმიდისა ბროკოპისი. ო.ო ღღტყვსა ა. გამორჩეულ იქმენ შენ მუცლითგან დედისაჲთ ღმრთისა მიერ, ნეტარო...“

ოგლბდტსა. უგალობდეთ უფალსა, მორწმუნენო...“

აქბდტსა კ.ა.გ. გ.ი. ოთე თისა თეო თიქის. — რაჲამს-იგი აღემატა უღმრთოჲ ბრძანებაჲ უშჯულთაჲ...» 176v—178v.

21. „იელისსა იე, წმიდისა კვრიკესი დასდებელნი. ო.ო ღღტყვსა კ.ა.ბ. რომელი დაიცავ...“

ოგლბდტსა ბ გ.ი. რომელმან ზღუასა მეწამულსა. — დედასა თანა მორწმუნესა ძმ უბიწოა...“

აქბდტსა. უტყუებაჲ მამისაჲ წინამორბედისაჲ...“

აღივგენითსა კ.ა.ა. გ.ი. ძმ ღმრთისა მხოლოასაჲ...“ 178v—181r.

22. „იელისსა იმ, ათანასი კულუმელისაჲ დასდებელნი. ოგლბდტსა კ.ა.დ. გ.ი. უგალობდით უფალსა, რომელმან განიყვანა. — სურვიელთა დიდებად დღესასწაულსა...“

აქბდტსა. ქრისტეს მოწამენი ყოველთა ადგილთა წმიდა-ჰყ (მოტანილია მხოლოდ დასაწყისი)“ 181r—182v.

23. „იელისსა ით, კოზმან-დამიანეთაჲ დასდებელნი. ო.ო ღღტყვსა კ.ა.ბ. მოვედით, მოვიდით, მორწმუნენო...“

ოგლბდტსა კ.ა.დ. უგალობდეთ უფალსა გალობითა ახლითა...“

აქბდტსა. რომელი ხარ დიდებულ ქსენებასა...“ 182v—184r.

24. „იელისსა კდ, წმიდისა ქრისტინასი, ო.ო ღღტყვსა კ.ა. ა. ზეცისა სიძისა სძალო...“

ოგლბდტსა. ეტლთა სიმრავლე მკედ. — აღახუენ, უფალო, თუალნი საცნობელთა ჩემთანი...“

აქბდტსა. მოგკუეთენს ძუძუნი, სძალო ქრისტესო...“ 184r—186r.

25. „იელისსა კბ, წინაწარმეტყუელისა დანიელისი დასდებელნი, უგლბდტსა კ.ა.დ. გ.ი. ქუეყანასა მწყურნებასა ვითარცა. — მოვედით, უგალობდეთ უფალსა...“

აქბდტსა, ქრისტეს მოწამენი ყოველთა ადგილთა წმიდა ჰყო. — გაქებდეთ ყოველნი მორწმუნენი...“ 186r—187v.

შენიშვნები: 1. კანონის შემდეგ: „ესე დანიელისნი ო.ო ღღტყვსა სთქუენ კ.ა.დ. გ.ი. უფალო, დადაცათუ ქალღველთაგან წარიტყუნა...“.

2. დასდების ბოლოს ასომთავრულით მიწერილია: „ოკდომბერსაც დ და-
 ნიელისა“.

26. „ივლისსა კვ, თეკლა პირველმოწამისა დასდებელნი. ო^ო ღ^ღ ტყესა
 კ^კ მ^მ დ^დ გ^გ ი. ჰ სიბრმე იგი ჰე. — თეკლას ერთობით, მორწმუნენო...
 ოგ^ღ ლ^ლ ბ^ბ დ^დ თსა. უგალობდეთ უფალსა, რომელმან განიყვანა ერი თჳსი ზღუ-
 ასა. — ენაჲ ვერ შემძლებელ არს მითხოვად...“

აქ^ა ბ^ბ დ^დ თსა. უფალო, დაღაცათუ სიყუარულითა...“ 187v—189v.

27. „ივლისსა კზ, სუმეონ მესუეტისა ჰალაფელისაჲ დასდებელნი. ო^ო ო
